

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ მატერიალურ-ტექნიკური მხარდაჭერის სამსახურის დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. ეს დებულება განსაზღვრავს საჯარო სამართლის იურიდიული პირის „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ (შემდგომში „მაუწყებლის“) მატერიალურ-ტექნიკური მხარდაჭერის სამსახურის (შემდგომში „სამსახური“) სტრუქტურას, უფლებამოსილებებსა და ვალდებულებებს, აწესრიგებს სამსახურის საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს;
2. სამსახური წარმოადგენს მაუწყებლის სტრუქტურულ ერთეულს;
3. სამსახური თავისი მიზნებისა და ამოცანების განხორციელებისას წარმოადგენს მაუწყებელს და ანგარიშვალდებულია მაუწყებლის დირექტორის წინაშე;
4. სამსახური თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, საერთაშორისო ხელშეკრულებებით, საქართველოს კანონებით, მაუწყებლის დებულებით, მაუწყებლის დირექტორის სამართლებრივი აქტებით, წინამდებარე დებულებით, სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით;
5. ამ დებულებით გათვალისწინებული „საბჭო“ არის მაუწყებლის კოლეგიური ორგანო „ტექნიკური განვითარების საბჭო“;

მუხლი 2. სამსახურის მიზანი და ამოცანები

1. სამსახურის საქმიანობის მიზანია:
 - 1.1. მაუწყებლობას მუდმივად ჰქონდეს მაღალი ხარისხის, ტექნიკურად გამართული, საჭიროების შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა;
 - 1.2. არსებული მატერიალურ-ტექნიკური საშუალებები მიმდინარე რეჟიმში მუდმივად იყოს გამართულ მდგომარეობაში;
 - 1.3. მატერიალურ-ტექნიკური საშუალებები მუდმივად ვითარდებოდეს მაუწყებლის საჭიროებების შესაბამისად;
2. **სამსახურის ძირითადი ამოცანებია:**
 - 2.1. მიმდინარე რეჟიმში არსებული მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების გამართულ მდგომარეობაში ყოფნის უზრუნველყოფა;
 - 2.2. არსებული მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების უსაფრთხო პირობებში შენახვა და მოვლა;
 - 2.3. მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების განვითარების საჭიროებებისა და შესაძლებლობების დროული აღმოჩენა/გამოვლენა;

მუხლი 3. სამსახურის სტრუქტურა

1. სამსახურს ხელმძღვანელობს სამსახურის უფროსი რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლება მაუწყებლის დირექტორი. სამსახურის უფროსის არყოფნის ან/და უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში სამსახურის უფროსის მოვალეობას ასრულებს (ითავსებს) მაუწყებლის დირექტორის მოადგილე - ტექნიკური განვითარების დარგში;
2. მაუწყებლის დირექტორის მოადგილე ტექნიკური განვითარების დარგში ახორციელებს აღნიშნული სამსახურის საქმიანობის მუდმივ მონიტორინგს და პასუხისმგებელია სამსახურის მუშაობის ეფექტიანობაზე;
3. სამსახურში სტრუქტურაში მოქცეულია სამი განყოფილება, კერძოდ: (1) კომპიუტერული უზრუნველყოფის განყოფილება; (2) გადამცემი სადგურების ექსპლუატაციის განყოფილება; (3) საავტომობილო პარკი/განყოფილება;
4. სამსახურის სტრუქტურაში არსებული განყოფილებ(ებ)ის უფრო(ებ)ს თანამდებობაზე ნიშნავს მაუწყებლის დირექტორი, დირექტორის მოადგილისთან (ტექნიკური განვითარების დარგში) და სამსახურის უფროსთან კონსულტაციის საფუძველზე;
5. სამსახურში დასაქმებულია:
 - 5.1. სამსახურის უფროსი;
 - 5.2. სტუდიებისა და მომრავი სატელევიზიო სადგურის (მსს) უფროსი;
 - 5.3. უფროსი ინჟინერი;
 - 5.4. ინჟინერი;
 - 5.5. ინჟინერ-ტექნიკოსი;
 - 5.6. კომპიუტერული განყოფილების უფროსი;
 - 5.7. კომპიუტერული განყოფილების სპეციალისტი;
 - 5.8. გადამცემი საშუალებების ექსპლუატაციის განყოფილების უფროსი;
 - 5.9. ტექნიკოსი;
 - 5.10. გუზაგი/მეთვალყურე;
 - 5.11. საავტომობილო პარკის/განყოფილების უფროსი;
 - 5.12. მძღოლი;
 - 5.13. მეურნე;
 - 5.14. უნცროსი მეურნე (რადიოს მეურნე);
 - 5.15. სწყობის გამგე (კოორდინატორი);

მუხლი 4. სამსახურში დასაქმებული პირების მიერ შესასრულებელი სამუშაოები:

- 4.1. სამსახურის უფროსი:**
 - 4.1.1. მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების ხარვეზებისა და დაზიანებების დროული გამოვლენისა და აღმოფხვრის უზრუნველყოფა;
 - 4.1.2. მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების განვითარების პროექტების მომზადება;
 - 4.1.3. არსებული მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების მოვლისა და უსაფრთხო პირობებში შენახვის სამუშაოების კოორდინაცია;

- 4.1.4. თანამშრომლებთან მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების შენახვისა და ექსპლუატაციის პირობებზე კომუნიკაცია;
- 4.1.5. არსებული მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების სათანადო მოვლისა და ექსპლუატაციის წესების დაცვის მონიტორინგი;
- 4.1.6. მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების შემოწმებისა და პროფილაქტიკური შეკეთების წინასწარ განსაზღვრული ვადების დაცვობის მონიტორინგი;
- 4.1.7. მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების განვითარების (შესყიდვების) წინადადებების (მოკვლევების) მომზადება და წარდგენა საბჭოზე;
- 4.1.8. მატერიალურ-ტექნიკური განვითარების შერჩეულ ინიციატივებზე (წინადადებებზე/მოკვლევებზე) ინფორმაციის მოძიება;
- 4.1.9. სამსახურში დასაქმებული პირების ხელმძღვანელობა და მუდმივი კოორდინაცია;
- 4.1.10. მაუწყებლის დირექტორის და მისი მოადგილეების სამსახურებრივი მითითებების შესრულება;
- 4.2. სტუდიებისა და მომრავი სატელევიზიო სადგურის (მსს) უფროსი:**
- 4.2.1. მაუწყებლის სარგებლობაში/საკუთრებაში არსებულ სტუდიებში ტექნიკური მოწყობილობებისა და ელექტრო დანადგერების გამართული ფუნქციონირების მუდმივი მონიტორინგი;
- 4.2.2. მაუწყებლის სარგებლობაში/სარგებლობაში არსებული მსს-ში განთავსებული ტექნიკური მოწყობილობის გამართული ფუნქციონირების მუდმივი მონიტორინგი;
- 4.2.3. მაუწყებლის სტუდიისა და მსს-ის ჯეროვანი/შესაბამისი გამოყენების ზედამხედველობა;
- 4.2.4. მაუწყებლის სტუდიისა და მსს-ის მოვლისა და განვითარების იდეების დამუშავება და წარდგენა;
- 4.2.5. მაუწყებლის სტუდიისა და მსს-ის განვითარების (შესყიდვების) წინადადებების (მოკვლევების) მომზადება;
- 4.2.6. მაუწყებლის სტუდიისა და მსს-ის გამოყენებულ თანამშრომლებთან ექსპლუატაციის პირობებზე კომუნიკაცია;
- 4.2.7. მაუწყებლის სტუდიისა და მსს-ის დაგეგმილი ან დაუგეგმავი ტექნიკური სამუშაოების შესახებ ინფორმაციის შესაბამისი პირებისათვის გონივრულ ვადაში მიწოდება;
- 4.2.8. მაუწყებლის სტუდიისა და მსს-ის განახლებისა და სიახლების დანერგვისათვის საჭირო ღონისძიებებისა და აქტივობების დაგეგმვა;
- 4.2.9. დირექტორის მოადგილისა და სამსახურის უფროსის სამსახურებრივი მითითებების/დავალებების შესრულება;
- 4.3. უფროსი ინჟინერი:**
- 4.3.1. აწარმოებს მაუწყებლის სარგებლობაში არსებული ტექნიკური საშუალებების გამართული ფუნქციონირების მუდმივ მონიტორინგს;
- 4.3.2. უზრუნველყოფს სატელევიზიო და რადიო სიგნალის შეუფერხებლად გავრცელებისათვის საჭირო სამუშაოების შესრულებას;
- 4.3.3. უზრუნველყოფს სატელევიზიო და რადიო სიგნალების დანიშნულებისამებრ მიწოდების სისტემატურ მონიტორინგსა და წინამოსამზადებელი (პრევენციული) ღონისძიებების განხორციელებას;
- 4.3.4. პასუხისმგებელია მაუწყებლის სარგებლობაში არსებული ელექტრო და საკომუნიკაციო ქსელების ჯეროვან მოწყობასა გამართულ მუშაობაზე;
- 4.3.5. უზრუნველყოფს ტექნიკური მოწყობილობების მიმდინარე რევიმში შეკეთებას ანდა შეკეთების პროცესის ზედამხედველობას;
- 4.3.6. პასუხისმგებელია მასზე განპიროვნებული ქონების ფიზიკურ დაცვაზე;
- 4.3.7. კოორდინაციას/ზედამხედველობას უწევს სამსახურში დასაქმებული ინჟინრებისა და ტექნიკოსების საქმიანობას;
- 4.3.8. ასრულებს სამსახურის უფროსის სამსახურებრივ დავალებებსა და მითითებებს;
- 4.4. ინჟინერი:**
- 4.4.1. აწარმოებს სატელევიზიო და რადიო აპარატურის ტექნიკურ მომსახურებას, კვალიფიკაციისა და გამოცდილების შემთხვევაში მათ მიმდინარე შეკეთებას;
- 4.4.2. მუდმივად ახორციელებს ტექნიკური მოწყობილობის ჯეროვანი მუშაობის ზედამხედველობასა და ჩვეულებრივ გამოყენებასთან დაკავშირებულ ცვეთის შესახებ ინფორმაციის პერიოდული მომზადებას/მიწოდებას;
- 4.4.3. მონაწილეობს დებულობის დაგეგმვით/დაუგეგმავ ტექნიკურ სამუშაოებში;
- 4.4.4. პასუხისმგებელია მასზე განპიროვნებული ქონების ფიზიკურ დაცვაზე;
- 4.4.5. ასრულებს სამსახურის უფროსისა და უფროსი ინჟინერის სამსახურებრივ დავალებებსა და მითითებებს;
- 4.5. ინჟინერ-ტექნიკოსი:**
- 4.5.1. აწარმოებს სატელევიზიო, რადიო, და საყოფაცხოვრებო მოწყობილობა-დანადგერების ტექნიკურ მომსახურებას;
- 4.5.2. ახარციელებს პირდაპირი ეთერის დროს სატელევიზიო ან რადიო სიგნალის შეუფერხებლად მიწოდებისთვის დროებითი განსათავსებელი ტექნიკური აპარატურის მონტაჟსა და დემონტაჟს;
- 4.5.3. წინასწარ ამზადებს იმ ადგილების ჩამონათვალს საიდანაც შესაძლებელია რადიო და სატელევიზიო სიგნალის შეუფერხებელი მიწოდება (როგორც ფასიანი ასევე უფასო კომუნიკაციისათვის/ჩართვისათვის);
- 4.5.4. სატელევიზიო/რადიო პროდუქტის ჩაწერისა თუ პირდაპირი სიგნალის მიწოდების დროს მაუწყებლის სხვა თანამშრომლების მხარდაჭერა (კონსულტაციების/რჩევების მიცემა);
- 4.5.5. ასრულებს სამსახურის უფროსისა და უფროსი ინჟინერის სამსახურებრივ დავალებებსა და მითითებებს;
- 4.6. კომპიუტერული განყოფილების უფროსი:**
- 4.6.1. მაუწყებლის სარგებლობაში არსებული კომპიუტერული საშუალებებსა და პროგრამულ უზრუნველყოფებში ხარვეზებისა და დაზიანებების გამოვლენის პროცესის სწორი წარმართვის უზრუნველყოფა;
- 4.6.2. მაუწყებლის თანამშრომლებთან კომუნიკაცია კომპიუტერული საშუალებების და პროგრამული უზრუნველყოფითან დაკავშირებულ ექსპლუატაციის წესებზე/პირობებზე;
- 4.6.3. პასუხისმგებელია მაუწყებლის სარგებლობაში არსებული კომპიუტერული საშუალებებსა ჯეროვან ფუნქციონირებაზე;
- 4.6.4. კომპიუტერული საშუალებებთან და პროგრამებთან დაკავშირებული სიახლების დანერგვისათვის საჭირო ღონისძიებებისა და აქტივობების დაგეგმვა;
- 4.6.5. კომპიუტერული საშუალებებთან და პროგრამებთან დაკავშირებული განვითარების (შესყიდვების) წინადადებების (მოკვლევების) მომზადება;
- 4.6.6. კომპიუტერული საშუალებებთან, პროგრამებთან დაკავშირებული მომსახურების შეძენისათვის წინადადებების მომზადება;
- 4.6.7. ზედამხედველობას უწევს მაუწყებლის სარგებლობაში არსებული ოფიციალური ვებ-გვერდ(ებ)ის გამართულ ფუნქციონირებას (შესაძლებლობის შემთხვევაში ხარვეზის/გაუმართავობის დაუყოვნებლივ აღმოფხვრა საკუთარის ძალებით);

- 4.6.8. ზედამხედველობას უწევს სათვალთვალო კამერ(ებ)ისა და სამუშაო ადგილზე გამოცხადების აღრიცხვის მოწყობილობების/აპარატურების გამართულ ფუნქციონირებას;
- 4.6.9. განყოფილებაში დასაქმებული თანამშრომლების საქმიანობის მონიტორინგი;
- 4.7. კომპიუტერული განყოფილების სპეციალისტი:**
- 4.7.1. მაუწყებლის სარგებლობაში არსებული კომპიუტერული საშუალებებსა და პროგრამულ უზრუნველყოფაში დაფიქსირებული ხარვეზების დაუყონებლივ აღმოფხვრა (შესაძლებლობის შემთხვევაში);
- 4.7.2. მუდმივად ახორციელებს კომპიუტერული საშუალებების ჯეროვანი მუშაობის ზედამხედველობასა და ჩვეულებრივ გამოყენებასთან დაკავშირებულ ცვეთის შესახებ ინფორმაციის პერიოდული მომზადებას/მიწოდებას;
- 4.7.3. მონაწილეობს ღებულობს დაგეგმილ/დაუგეგმავ ტექნიკურ/განახლების სამუშაოებში;
- 4.7.4. უზრუნველყოფს კომპიუტერული ქსელის მოწყობასა და მისი გამართული მუშაობის ზედამხედველობას;
- 4.7.5. პასუხისმგებელია კომპიუტერულ მოწყობილობებში (მათ შორის სტუდიურსა და სამონტაჟო) პროგრამული სიახლეების გათავსებაზე;
- 4.7.6. პასუხისმგებელია სათვალთვალო კამერისა და სამუშაო ადგილზე გამოცხადების აღრიცხვის მოწყობილობების/აპარატურების გამართულ მუშაობაზე;
- 4.7.7. ასრულებს სამსახურის უფროსისა და განყოფილების უფროსის სამსახურებრივ მითითებებს/დავალებებს;
- 4.8. გადამცემი საშუალებების ექსპლუატაციის განყოფილების უფროსი:**
- 4.8.1. უზრუნველყოფს მიწისზედა სატელევიზიო და ანალოგური რადიო სიგნალის გავრცელებასთან დაკავშირებული ტექნიკური მოწყობილობების გამართული ფუნქციონირების ზედამხედველობას;
- 4.8.2. უზრუნველყოფს მაუწყებლის სარგებლობაში არსებული რადიო ანძების გამართულ ფუნქციონირებასთან დაკავშირებული საქმიანობების ზედამხედველობას;
- 4.8.3. ზედამხედველობას ახორციელებს ტექნიკოსებისა და გუშაგების/მეთვალყურეების მიერ შესასრულებელი სამუშაოების ჯეროვან შესრულებაზე;
- 4.8.4. მონაწილეობს ღებულობს დაგეგმილ/დაუგეგმავ ტექნიკურ სამუშაოებში;
- 4.8.5. ახორციელებს პრევენციულ (მოსამზადებელ) სამუშაოებს სატელევიზიო/რადიო სიგნალის შეუფერხებლად გავრცელების უზრუნველსაყოფად;
- 4.8.6. გეგმიურად ახორციელებს რადიო სიგნალის გავრცელების (დაფარვი) არეალის შემოწმებას;
- 4.8.7. პერიოდულად წარადგენს რადიო სიგნალის დაფარვის ზონის გაფართოებასთან დაკავშირებული სამუშაოებისა და მოწყობილობებისათვის საჭირო გეგმასა და ტექნიკური საჭიროებების ჩამონათვალს (მოკვლევას);
- 4.8.8. ასრულებს დირექტორის მოადგილისა და სამსახურის უფროსის სამსახურებრივ მითითებებს/დავალებებს;
- 4.9. ტენიკოსი:**
- 4.9.1. უზრუნველყოფს მიწისზედა სატელევიზიო და ანალოგური რადიო სიგნალის გავრცელებასთან დაკავშირებული ტექნიკური მოწყობილობების გამართული ფუნქციონირების საჭირო სამუშაოების შესრულებას;
- 4.9.2. მონაწილეობს ღებულობს დაგეგმილ/დაუგეგმავ ტექნიკურ სამუშაოებში;
- 4.9.3. ახორციელებს რადიო სიგნალის გავრცელების (დაფარვი) არეალის ცვლილებისათვის (შემცირებისათვის/გაზრდისათვის) წარმოებული ტექნიკური სამუშაოების შესრულებას;
- 4.9.4. პერიოდულად ამოწმებს მაუწყებლის სარგებლობაში არსებულ ანძებზე განთავსებულ ტექნიკური საშუალებების შემოწმებას;
- 4.9.5. ასრულებს სამსახურის უფროსისა და განყოფილების უფროსის სამსახურებრივ მითითებებს/დავალებებს;
- 4.10. გუშაგი/მეთვალყურე:**
- 4.10.1. პასუხისმგებელია მაუწყებლის სარგებლობაში არსებული დასაცავი (სამეთვალყურეო) ობიექტების დაცვაზე (მესამე პირების სპეციალური ნებართვის გარეშე დაშვებაზე);
- 4.10.2. უზრუნველყოფს დასაცავი ობიექტში კვალიფიკაციის შესაბამისი ტექნიკური სამუშაოების შესრულებას;
- 4.10.3. ახორციელებს რადიოს სიგნალის ჯეროვანი გავრცელების მუდმივ მონიტორინგს (შესაბამის არეალში);
- 4.10.4. ასრულებს სამსახურის უფროსისა და განყოფილების უფროსის სამსახურებრივ მითითებებს/დავალებებს;
- 4.11. საავტომობილო პარკის/განყოფილების უფროსი:**
- 4.11.1. უზრუნველყოფს მაუწყებლის სარგებლობაში/საკუთრებაში არსებული სატრანსპორტო საშუალებების ჯეროვანი ექსპლუატაციის ზედამხედველობას;
- 4.11.2. ახორციელებს მაუწყებლის სარგებლობაში/საკუთრებაში არსებული სატრანსპორტო საშუალებების გადაადგილების მუდმივ მონიტორინგს;
- 4.11.3. პასუხისმგებელია მაუწყებლის სარგებლობაში/საკუთრებაში არსებული სატრანსპორტო საშუალებების მოვლა/შენახვის სამუშაოების ჯეროვან წარმოებაზე;
- 4.11.4. უზრუნველყოფს შესაძენი სატრანსპორტო საშუალებებისა თუ მათი მოვლის მომსახურებებისათვ საჭირო სამუშაოებისათვის წინადადებების (მოკვლევების) მომზადებას;
- 4.11.5. უზრუნველყოფს მაუწყებელში დასაქმებულ მძღოლებს შორის შესასრულებელ სამუშაოების ჯეროვან განაწილებას;
- 4.11.6. საჭიროების შემთხვევაში ასრულებს მაუწყებლის მძღოლის მოვალეობებსაც;
- 4.11.7. ასრულებს მაუწყებლის დირექტორის მოადგილისა და სამსახურის უფროსის სამსახურებრივ მითითებებს/დავალებებს;
- 4.12. მძღოლი:**
- 4.12.1. უზრუნველყოფს მაუწყებელში დასაქმებული პირების უსაფრთხო გადაადგილებას დანიშნულების ადგილზე (უშუალო ხელმძღვანელის თანხმობით სხვა პირების უსაფრთხო გადაადგილებასაც);
- 4.12.2. დაუგეგმავი გადაადგილების შესახებ დაუყონებლივ აცნობებს უშუალო უფროსს;
- 4.12.3. სატრანსპორტო საშუალებას მართავს საკუთარ ცვლაში/განრიგში (საკუთარი დასვენების დღეებში წინასწარი თანხმობის გარეშე უფლება არ აქვს სატრანსპორტო საშუალების მართვისა);
- 4.12.4. უზრუნველყოფს სარგებლობაში გადაცემული სატრანსპორტო საშუალების მუდმივ მოწესრიგებას;
- 4.12.5. დაუყონებლივ აწვდის ინფორმაცია უშუალო ხელმძღვანელს სატრანსპორტო საშუალების გაუმართავობის შესახებ ინფორმაცია;
- 4.12.6. ვალდებულია საკუთარ ცვლაში/განრიგში გამოცხადდეს ფხიზელ მდგომარეობაში;
- 4.12.7. მართვის უფლების ჩამორთმევის ან/და შეჩერების შემთხვევაში დაუყონებლივ აწვდის ინფორმაცია მაუწყებელს;

- 4.12.8. შესაძლებლობის ფარგლებში ახორციელებს მაუწყებლის სხვა დასაქმებულების მხარდაჭერას (სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებულს);
- 4.12.9. სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას ვალდებულია დაიცვას „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონით, სხვა კანონითა და ქანონქვენიდებარე ნორმატიული აქტებით დაწესებული მოთხოვნები (აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობით გამოწვეულ ზიანს სრულად აანაზღაურებს მძღოლი);
- 4.12.10. პასუხისმგებელია მასზე გადაცემული სატრანსპორტო საშუალების ჯეროვან/მართლზომიერ გამოყენებაზე;
- 4.12.11. ასრულებს სამსახურის უფროსისა და საავტომობილო პარკის ხელმძღვანელის (უშუალო უფროსის) სამსახურებრივ მითითებებს;
- 4.13. მეურნე:**
- 4.13.1. მაუწყებლის სარგებლობაში არსებული ქონების აღრიცხვა, დასაწყობება და გაცემის ზედამხედველობა;
- 4.13.2. საჭიროებების გამოვლენა და მარაგების შექმნა (მოვლა შენახვა);
- 4.13.3. შენახული/დასაწყობებული საქონლის მართლზომიერი გაცემის კონტროლი;
- 4.13.4. წინამოსამზადებელი/პრევენციული ღონისძიებების განხორციელება მარაგის შესაქმნელად;
- 4.13.5. მაუწყებლის ქონებით მოსარგებლა დასაქმებულთა რესტრის, მათ შორის ქონების გულგრილი დამოკიდებულებით მოსარგებლე დასაქმებულების რესტრის შექმნა (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- 4.13.6. მაუწყებლის სარგებლობაში/საკუთრებაში არსებული და მისი პირდაპირ მფლობელობაში არსებული ქონების დაზიანების/განადგურების შემთხვევაში ინფორმაციის დაუყოვნებლივ გაცხადება;
- 4.13.7. წერილობითი მოთხოვნის (ანდა შესაბამისი მატერიალური საფუძვლის) არსებობის შემთხვევაში ქონების (მარაგის) გაცემა უფლებამოსილი პირებისათვის (შესაბამისი დოკუმენტის „მიღება-ჩაბარების“ საფუძველზე);
- 4.13.8. მარაგების მერთვის ელექტრონული პროგრამასა თუ სხვა მატერიალურ საშუალებებზე სრულყოფილი ინფორმაცია შეტანა;
- 4.13.9. უნცროსი მეურნისა, საწყობის კოორდინატორისა თუ სხვა ქვემდებარე პირების მიერ განხორციელებული საქმიანობის მუდმივი მონიტორინგი;
- 4.13.10. ასრულებს დირექტორის მოადგილისა და სამსახურის უფროსის სამსახურებრივ მითითებებს (მიუხედავად მაუწყებელში დასაქმებულ პირის სტატუსისა მეურნე უფლებამოსილის უარი განაცხადოს ქონების გაცემაზე, თუ ის საფრთხეს ხედავს ქონების გამოყენებაში ან წინაწარ არის ცნობილი მისთვის აღნიშნული (მოთხოვნილი) ქონების არამიზნობრივი გამოყენების შესახებ ანდა არ აქვს ქონების გაცემის მატერიალური საფუძველი);
- 4.14. უნცროსი მეურნე:**
- 4.14.1. მაუწყებლის სარგებლობაში არსებული ქონების აღრიცხვა, დასაწყობება და გაცემაში მეურნის მხარდაჭერა;
- 4.14.2. რადიოში დასაქმებული პირების საჭიროებების გამოვლენა და ინფორმაციის მიწოდება მეურნისთვის;
- 4.14.3. რადიოში დასაქმებული პირების მოთხოვნის შემთხვევაში შესაბამისი საფუძვლის არსებობისას მათთვის ქონების გადაცემა და შესაბამისი დოკუმენტების შექმნა;
- 4.14.4. სარგებლობაში გაცემული ქონების ჯეროვანი გამოყენების ზედამხედველობა;
- 4.14.5. ქონების დაზიანების/განადგურების შემთხვევაში ინფორმაციის დაუყოვნებლივ მიწოდება მეურნისათვის;
- 4.14.6. მეურნისა და სამსახურის უფროსის სამსახურებრივი მითითებების/დავალბების შესრულება;
- 4.15. სწყობის გამგე/კოორდინატორი:**
- 4.15.1. პასუხისმგებელია წარმოდგენილი მოთხოვნებისა და მოთხოვნის შესაბამისად გაცემული ქონებების/საშუალებების იდენტიფიკაციაზე და შესაბამისი დოკუმენტაციის შედგენაზე;
- 4.15.2. უზრუნველყოფს საწყობში დაცული მარაგების სისტემატურ კონტროლს/ზედამხედველობას და შესაბამისი ინფორმაციის მიწოდებას მეურნისათვის;
- 4.15.3. საფუძვლის გარეშე ქონების გატანის შემთხვევაში ინფორმაციის დაუყოვნებლივ აწყვდის დირექტორის მოადგილეს, ხოლო პირველი შესაძლებლობის თანავე წერილობით დირექტორს;
- 4.15.4. ასრულებს მეურნისა ანდა სამსახურის უფროსის სამსახურებრივი მითითებებს/დავალბებს;

მუხლი 5. განსაკუთრებული დებულებები

1. სამსახურში მუდმივ ან არამუდმივ ამოცანათა შესასრულებლად დადგენილი წესის საფუძველზე შეიძლება მიღებულ იქნენ სხვა პირები;
2. სამსახურში კონკრეტულ პოზიციაზე ვაკანსიის არსებობის შემთხვევაში, სამსახური უფლებამოსილი არ არის უარი განაცხადოს ამ დებულებით განსაზღვრული ვალდებულების შესრულებაზე;
3. სამსახურში დასაქმებული ყველა პირი ადგენს და სამსახურის უფროსს, ხოლო სამსახურის უფროსი დირექტორის მოადგილეს წარუდგენს ყოველ კვარტალურ ანგარიშს, საანგარიშო პერიოდში გაწეული საქმიანობის შესახებ (საანგარიშო პერიოდის დასრულებიდან არა უგვიანეს 5 სამუშაო დღისა);
4. სამსახურში დასაქმებულმა პირებმა თავიანთი ვალდებულებების შეუსრულებლობის ანდა სამსახურში არსებული სხვა ხარვეზების შესახებ წერილობითი ინფორმაცია უნდა მიაწოდონ დირექტორს მოადგილეს გონივრულ ვადაში, თუ ამ დებულებით ანდა შრომის მინაგანაწესით სხვა რამ არ არის განსაზღვრული;
5. სამსახურის პასუხისმგებელია სახანძრო და სხვა მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების უსაფრთხო გამოყენებაზე (პერიოდულად ახორციელებენ შეხვედარას მაუწყებლის სხვა თანამშრომლებთან პრევენციის მიზნით);
6. სამსახურის უფროსი ანგარიშვალდებულია მაუწყებლის დირექტორის წინაშე. სამსახურის უფროსი (უფროსის მოვალეობის შემსრულებელი) პასუხისმგებელია სამსახურში დასაქმებული პირების მიერ ამ დებულებით გათვალისწინებული ფუნქციების ჯეროვანად შესრულებაზე;
7. სამსახური პერიოდულად მაგრამ არანაკლებ ექვს თვეში ერთისა ახორციელებს სამსახურის საქმიანობის ანალიზს და საქმიანობაში ხარვეზების აღმოჩენის შემთხვევაში საბჭოს წარუდგენს მისი გამოსწორების გეგმას;

მუხლი 6. დასკვნითი დებულება

1. სამსახურის ყველა თანამშრომელი ვალდებულია შეასრულოს წინამდებარე დებულება;
2. სამსახურის დებულების გაუქმება, მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება მაუწყებლის დირექტორის ბრძანებით.